“ა” კლასის ოსტატთა შეხვედრები

7 ივნისს თბილისის “დინამომ” კუიბიშევში ჩაატარა პირველობის მორიგი, მე–8 ტურის მატჩი “კრილია სოვეტოვთან”.

სულ რამდენიმე წუთი იყო გასული მსაჯის პირველი სასტვენის შემდეგ, როცა თბილისელთა ერთ–ერთი შეტევა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა კალოევმა. 1:0. კუიბიშეველებმა გაშვებულ ბურთს ენერგიული იერიშებით უპასუხეს, მაგრამ დინამოელთა დაცვა და მეკარე უნარიანად იგერიებდნენ სახიფათო იერიშებს. მალე შეტევაზე კვლავ თბილისელები გადავიდნენ და სიხარულიძემ ანგარიში ორამდე გაზარდა. გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ანგარიშით 2:0 თბილისის “დინამოს” სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის 43 წუთის განმავლობაში ანგარიში უცვლელი იყო. მხოლოდ მაშინ, როცა თამაშის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, კუიბიშეველმა ვოროშილოვმა შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

თამაში დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით, ანგარიშით 2:1.

“ლელო”, 10 ივნისი, 1953 წ.